

პროპოზირებული ინციდენტი სოფელ ბუკნარში

ალიონი. გასულ კვირაში, რელიგიურ ნიადაგზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში ინციდენტი მოხდა, რამდენიმე ადამიანი ერთმანეთს დაუპირისპირდა, რაც შემდეგ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებად მიიჩნიეს და სოფლის ორი თემის წარმომადგენლების კონფლიქტში გადაიზარდა.

„ჩოხატაურის რიონის სოფელ ბუკნარში განვითარებულ მოვლენებს უფრო ღრმა ფესვები აქვს ვიდრე ის გარეგნულად ჩანს, ერთი სოფლის ორი რელიგიური თემი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ დღემდე, ხოლო გუშინ და დღეს განვითარებულ მოვლენებს არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიურ შეუთავსებლობასთან, ეს მთლიანად მართული პროცესია და სამართალდამცავებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ რელიგიური შუღლის გაღვივებას-

თან დაკავშირებით გამოძიება.“ – წერდა გურიის ყოფილი გუბერნატორი **გია სალუქვაძე** საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

ეს კონფლიქტი მართული რომ იყო, მომდევნო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა, როდესაც საქმეში სხვა რეგიონიდან ჩამოსული პირები და ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები ჩაერთვნენ.

ხელოვნურად გაღვივებული კონფლიქტის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლება და პარლამენტარები. გაზეთი „ალიონი“ კონფლიქტის დაწყებისთანავე დაუკავშირდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს **ვასილ ჩიოგიძეს** და მომხდარზე თხოვა კომენტარი:

– გურიაში მომხდარში გასარკვევად სპეციალურად მივდივარ. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. არჩევნებისას

არავის მეჩეთის აშენებას არ დაგვირგვინებდნენ. არ ვიცი, რატომ მანიპულირებენ ამ თემით. ვიცი, რომ ბუკნარელმა მუსლიმებმა იყიდეს კერძო სახლი და ითხოვნენ იქ სალოცავის მოწყობას. მალე ჩავალ ჩოხატაურში, შევხდები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მხარეებს. გურია ცნობილია თავისი ტოლერანტობით, რამდენადაც ვიცი, თავად სოფელში ურთიერთობები დალაგდა, – გვითხრა ვასილ ჩიოგიძემ.

ურთიერთობის დალაგების შესახებ კონფლიქტის მეორე დღესვე აცხადებდნენ გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია** და შემოქმედელი მიტროპოლიტი, **მეუფე იოსები**:

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შეხვედრას ესწრებოდა სოფლის ორივე მხარე, როგორც მუსლიმი, ასევე ქრისტიანი მოსახლეობა. სოფელი შეჯერდა იმაზე, რომ ერთმანეთში გამოიხ-



ავენ საერთო ენას და დაბრუნდებიან იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც ცხოვრობდნენ ერთად. გაგრძელდება ისეთი სიამბედილო ცხოვრება, როგორც ჰქონდათ, თუ ვინმე ადამიანი გამოიკვეთება, ვინც პროვოკაციას მოაწყობს, ან შე-

ცდება ამ ადამიანებს შორის რელიგიური შუღლი ჩამოავლოს, ამ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა თვითონ ვასცემს პასუხს და არ დასჭირდება გარედან ვინმეს ჩარევა. დღეს ორივე მხარეს აქვს საშუალება იმ ურთიერთობაში დაბრუნდნენ, რა-

შიც იყვნენ. ის ლოცვა გააგრძელონ ისე, როგორც ადრე იყვნენ და ლოცულობდნენ.

აქ საუბარი იყო იმ პროვოკაციებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა შიგნით სხვა-





ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოცემა. № 1 (10372) 21 იანვარი 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი ბაზოლის
1931 წლის 5 იანვარიდან

მიცოცვა



ჩემი მაყურებლო, კლდეგმე, თაყვანის მისვრებელი და მაცხარებელი! მეგობრებო! გილოცავთ კალანდას და აღდგნილი ქართული თაყვანის დღეს! ქართული თაყვანი მუდამ იყავი ერთგული ინტერესების სადატაჯტო და ასე იქნება მუდამ. ჩვენი თაყვანი უნიკალური და თვითმცოდნე მთელსაა ფართობულ სათაყვანო თაყვანში, ბრძოლიც უმკლავდებოდა ყველა წინააღმდეგობას და აღწევს საერთაშორისო წაბრძოლას. გილოცავთ და გამბარჯვების გისურვებთ! გაუბარჯვებს ქართულ თაყვანს!

ვასო ჩიოგიძე,

ოფიციალური სახელმწიფო დარაგებული თეატრის სახელმწიფო ხელმძღვანელი, სახელმწიფო და მარკანონიშვილის არამიზნის ლაშქარბანი

იმ ადამიანის მდგომარეობაში არ აღმოვიჩნდეთ, უსამართლოდ გამოტანილ ბანაჩენს – დახვრებას ჩამოსრჩობით რომ შეუცვლიან

თემურ მარგანიშვილი

28 იანვარს 15.00 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აწყოფს გზშ-ს (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) და განიხილავს პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, მეორადი ნედლეულიდან ფერადი ლითონების (კერძოდ, ალუმინის) მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაცია“.

ცნობისთვის: პროექტის განხორციელება ივსებება ყოფილ მანქანათმშენებლობის ქარხანაში. ეს ტერიტორია 2004 წლამდე ქალაქ ოზურგეთს ეკუთვნოდა. და იცით, პროექტი ვისია? შპს „არერსა მეთალისა“, რომლის პარტნიორია ინდური ფირმა „მანსაროვარი“. ეს ის „მანსაროვარი“, რომელსაც დღემდე პასუხი არ გაუცია ოზურგეთელთა მრავალ მტკიც-ნულ კითხვაზე.

საოცარია, პარადოქსულია!!! საერთოდ, რატომ უნდა დამდგარიყო დღის წესრიგში ეს საკითხი მას შემდეგ, რაც ოზურგეთის საზოგადოებამ 2016 წელს რამდენიმეწლიანი დავა დაასრულა შპს „მანსაროვარს“ და „ჯეოგადამამ-უშვებელთან“ და ოზურგეთელი მოქალაქეების მიერ გამოხატული პროტესტით,



მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციის თანადგომითა და ჩვენი გაზეთის ჩართულობით, შესაძლებელი გახდა, ოზურგეთში არ აგებულიყო მეორადი ტყვიის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმო.

დავიჯეროთ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, ან ხსენებულ სამინისტროში არის ვინმე ისეთი, ვინაც არ იცის, რა ზიანი მოუტანა ოზურგეთს, მის მოსახლეობას „მანსაროვარის“ მიერ ტყვიის კუსტარულმა წარმოებამ?! თვალი გაახი-

ლეთ, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ დღესაც ჰყრია დაშლილი აკუმულატორებისა და გადანამუშავების მასალების ნარჩენები, რითაც კვლავ ბინძურდება ჰაერი და მდინარე აჭისწყალი.

არ ვამბობთ იმას, რომ პირდაპირ ამ საქმიანობის შედეგია, მაგრამ, ბუნების დამცველი ორგანიზაცია „ორქისის“ კვლევით, საქართველოში მცირე მდინარეებს შორის მდინარე ბუჟუში ტყვიის შემცველობა ყველაზე მაღალია; ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლებში ჩატარებული გამ-

ოკვლევებით კი, მოსწავლეთა არც თუ ისე მცირე რაოდენობას ორგანიზმში ჭარბი რაოდენობის ტყვია აღმოაჩნდა.

თუ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპროექტს „მწვანე შუქს“ მისცემს, ოზურგეთში და ოზურგეთშივე, დიდი ალბათობით, იმ ადამიანის მდგომარეობაში აღმოვიჩნდებით, უსამართლოდ გამოტანილ ბანაჩენს – დახვრებას ჩამოსრჩობით რომ



რატომ არ უნდა სამინისტროს ოზურგეთში ლითონგადამამუშავებელი საწარმოს აგების გარემოსდაცვითი ზემოქმედების ანგარიში მოსახლეობის მონაწილეობით განხილოს

წიგნის ანოტიაცია



28 იანვარს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ონლაინ რეჟიმში ქ. ოზურგეთში, ექაღის უბანში შპს „არესა მეტალის“ მიერ მეტალურგიული საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს განიხილა.

ერვინ კურამ შარმა „მანსაროვარის“, „ჯეოგადამამუშავებლის“ და ახლა „არესა მეტალის“ დამფუძნებელია. გავრცელებული ინფორმაციით მას არაოფიციალური წილის მფლობელი ქართველები „კრიშავენ.“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ახალი საწარმოს მშენებლობის სკოპინგის ანგარიში მოსახლეობაში განხილვის გარეშე მიიღო, ახლა კი ლოქდაუნის მომიწეებით ონლაინ რეჟიმში აპირებენ გზმ-ს განხილვას.

მიუხედავად საზოგადოების დიდი პროტესტისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოების თხოვნისა, რომ ისინი წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეს, რომ არსებობს ფერადი ლითონების მეტალურგიული საწარმოს მხრიდან გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი, სამინისტროს უზრუნველყო საზოგადოების ჩართულობა გზმ-ს ანგარიშის საჯარო განხილვაში, არ გაითვალისწინეს. დეპუტატების, ექიმების, პედაგოგების, არასამთავრობო სექტორის, მოსახლეობის სხვა წარმომადგენლების წერილობითი განცხადება მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. (წერილი 2020 წლის 4 აგვისტოს შევიდა სამინისტროში; რეგისტრაციის ნომერი 12169 ხელს აწერს 72 კაცი).

ახლა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (გზმ) თუ გადავხედავთ, ისეა „ჩაწიკებული“ ყველაფერი, რომ იტყვი –რა უშლის ხელს, ააშენონ, ჩაის და ციტრუსისათვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ვერ მოიხატა და იქნებ მძიმე მეტალურგიაში მიაღწიონ წარმატებას-თქო, მით უმეტეს, რომ სამ-შენებლო-სარემონტო სამუშაოები ქარხანაში კარგა ხანია მიმდინარეობს და გზმ-ს ფორმალური ონლაინ განხილვა და მინისტრის ხელმოწერა დარჩენილი.

დავიწყეთ ტერიტორიით.. 2004 წლიდან რამდენიმე კვიტარი მიწის

ფართობი ქ. ოზურგეთიდან, სოფელ ლიხაურზე გადაფორმდა.. ამითაც მანიპულირებენ –საწარმო ქალაქის ტერიტორიაზე არ შენდება. გზმ-ში ქ. ოზურგეთი და ექვითიე თაყაიშვილის ქუჩა უახლოეს დასახლებულ პუნქტად მოიხსენიება.

მათი საველე კვლევითი ობიექტის მიხედვით ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებით. არსადა ნახსენები ანასეულის წყალმომარაგების ჭაბურღილები, რომელიც უზუსტად ამ ნაკვეთებზე მდებარეობს. ასევე საკონსულტაციო ფირმას გაუზრდია სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი მანძილი საწარმოდან უახლოეს მოსახლეობამდე. თაყაიშვილის შესახვევში, წყალსაქანის გვერდზე მდებარე ტ. პაპავას სახლი თუ ადრე 34 მეტრით იყო წარმოდგენილი, ახლა 210 მეტრით დაფიქსირებული, ხოლო ლ. დონაძის და ა. ქავთარაძის სახლები გაცილებით შორს, (სკოპინგის ანგარიშში 120 მეტრი იყო მითითებული) 250 მეტრშია ნაჩვენები. ეგ, არის რომ მდინარე აჭისწყლის დაშორება 120მ მეტრს შეადგენს. ტ. პაპავას ეზო-კარმიდამო კი მდინარე აჭისწყლის ჭალასა და ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის შუაში მდებარეობს(!)

გზმ-ს განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობაზე მოსახლეობამ 2020 წლის დეკემბერში ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართა. ონლაინ რეჟიმში გამართულ სხდომაზე დეპუტატებმა სთხოვეს საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიას საკრებულოს წერილობით მიემართა სამინისტროსათვის გზმ-ს განხილვის გადადების შესახებ, რომ ლოქდაუნის დასრულების შემდეგ მოხდეს ქ. ოზურგეთში, მოსახლეობის ჩართულობით მისი საჯარო განხილვა, რაზედაც დარჩია დაეთანხმა.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაიამ სხდომაზე განაცხადა:

–„ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სტატისტიკურად ლიდერობს ონკოლოგიური დაავადების მაჩვენებლებით საქართველოში და წარ-

მოუდგენლად მაღალია ტყვეობის შემცველობა პატარა ბავშვებშიც კი. როცა ვზრუნავთ, ვფიქრობთ, გამოსავალს ვეძებთ შექმნილი ვითარებიდან, ვქმნით მუნიციპალურ პროგრამებს კიბოს ლოკალიზაციისათვის, ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკისათვის, სისხლში ტყვეობის შემცველობის განსაზღვრისათვის და ამისათვის ვზარჯავთ სოლიდურ თანხებს, თვალის დახურვა წარმოდგენილ პროექტზე დანაშაულის ტოლფასია.“

ერთ-ერთი სპეციალისტის აზრით, ეს საწარმო პრობლემას შეუქმნის არა მარტო ანასეულის წყალმომარაგებას, არამედ მდინარე ბჟუჟისა და ნატანების აუზს:

– საქართველოს მცირე მდინარეებს შორის ტყვეობის ყველაზე დიდი შემცველობა მდინარე ბჟუჟშია, რაც „მანსაროვარის“ და „ჯეოგადამამუშავებლის“ საქმიანობას უკავშირდება. სწორედ ბჟუჟია მდინარე ნატანების მთავარი შენაკადი, რომლის აუზში, სოფელ მერიის ტერიტორიაზე შეკვეთილი-ურეკის წყალმომარაგების 80 მილიონი ლარის პროექტით ჭაბურღილებია მოწყობილი. საფრ-თზე შეექმნება სასტუმრო „პარავრაფის“ და საერთოდ ამ საკურორტო ზოლის წყალმომარაგებას. რა მოგებას მისცემს სახელმწიფოს ეს ტოქსიკური საწარმო ისეთს, რომ ას-ეთ დიდ რისკებზე მიდიან –გვითხრა მან.

გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი რამდენიმე ადამიანმა გააკეთა:

გიორგი თოიბა, სოფ. ლიხაურის მაჟორიტარი დეპუტატი: –სოფელ ლიხაურის და ექაღის მოსახლეობის საპროტესტო ტალღამ, 2016 წელს დაასრულა რამდენიმეწლიანი დავა, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორიაზე შპს „ჯეოგადამამუშავებელთან“, რომელიც ტყვეობის კუსტარული წარმოებით საფრთხეს უქმნიდა როგორც ადამიანთა ჯან-მრთელობას, ასევე ეკოგარემოს. ადგილობრივი მოსახლეობა ახლა უკვე შესაძლო ახალ ეკოლოგიურ საფრთხეზე გამოხატავს შეშფოთებას, რაც კერძოდ სოფ. ლიხაურის ტერიტორიაზე ყოფილ მანქანათმშენებელ ქარხანაში ალუმინის საწარმოს ექსპლუატაციამ შეიძლება გამოიწვიოს. სტატისტიკა, რომ ოზურგეთი ლიდერობს ონკოლოგიური დაავადების მაჩვენებლებით საქართველოში მართლაც გვაძლევს შეშფოთების საფუძ-ველს. მიუხედავად იმისა რომ ძალზე კარგია ნებისმიერი ინვესტიციის განხორციელება ქვეყანაში, მითუმეტეს ჩვენს მუნიციპალიტეტში, აუცილებლად მიმართა აღნიშნული პროექტის განხორციელებამდე სრული მეცნიერული კვლევა ჩატარდეს იმ შესაძლო ეკოლოგიური საფრთხეების გამოსარიცხად, რაც ასე ძალიან აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას!

ავთო ბერიშვილი, ბიზნეს-მენი, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრები: – მართლაც რომ თავის სატიკი-ვარი გაგვიჩინა ბასრის უბნელებს, (ქ.

ოზურგეთი, ყაზბეგის ქ.) ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის პრობლემა. ინვესტიცია მისაღება მამინ, როდესაც საწარმო ხალხის სამსახურში ჩადგება. ამ შემთხვევაშიკი, პირიქით ხდება. აღნიშნულ საწარმოში, ტყვეობის წარმოების დროს, ჩვენს უბანში მძაფრი სუნი იგრძნობოდა, ხოლო ადგილობრივ რძის პროდუქტებში, ტყვეობის შემცველობა გაიზარდა. პროტესტის შედეგად წარმოების შეჩერებით, გვეგონა საფრთხე ჩამოგვეშორდა...ახლა, ახალი თავსატეხი გაგვიჩნდა. ქიმიური წარმოების...ეს იმ ფონზე როცა ოზურგეთი, ონკოლოგიური დაავადებებით სიის სათავეშია რესპუბლიკაში...არანაირი ეკონომიური სარგებელი ვერ გადაფარავს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესებას...არა ქიმიურ საწარმოს!

ზაზა ჩავლიშვილი, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრები: –უპირველეს ყოვლისა, არავინაა მრეწველობის გან-ვითარების წინააღმდეგი, ორივე ხელით მხარს ვუჭერთ, მაგრამ იგი ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ამგვარი წარმოების არსებობა კი დიდ



ანასეულის წყალმომარაგების ჭაბურღილები

საფრთხეს უქმნის არამარტო ირგვლივ მცხოვრებლებს, არამედ იმათაც, ვინც მოშორებითაც ცხოვრობს. ასიოდე მეტრში წყალსადენია, რომელმაც სასმელი წყლით მთელი ანასეული უნდა მოამარაგოს, და მდინარე რომელიც 20 კმ მიედინება კიდევ ზღვამდე, რომელშიც ბავშვები ბანაობენ. ამას დავემატოთ ქარი, რომელიც ქარხნის მხრიდან გვიბერავს, მოიტანს ლითონის ანაორთქლს. თითქმის 200 წელია ჩემი წინაპრები აქ ცხოვრობენ, ჩემი შვილებიც აქ იზრდებიან, ნამდვილად არ მაინტერესებს ვიღაცის და რაღაცის წარმატება ჩემი ბავშვების ჯანმრთელობის ფასად.

ვთხოვთ, ვისაც ხელეწიფება ამ გადაწყვეტილების მიღება, გაითვალისწინოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები და არ გასცენ ნებართვა ამ წარმოების ასამოქმედებლად. იგი შესაძლოა მდინარის აუზისა და მოსახლეობიდან შორს აშენდეს.

სათუნა ცირაძე, თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრები: – რას გვიაბრებს ხელისუფლება, ავსახლ-

დეთ? 5 შვილი მყავს. რატომ გვართმევენ კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებას, ვიცხოვროთ ეკოლოგიურ სუფთა გარემოში. რამდენი წელი ვიბრძოლეთ, რომ შეწყვეტილიყო ტყვეობის კუსტარული წარმოება. იგივე ხალხი აშენებს ახლა ამ საწარმოს. როგორ ვენდოთ? რომელი გარემოსდაცვითი სამსახური გააკონტროლებს ამას? ხომ ვხედავთ როგორ „აკონტროლებენ“ ისინი მდინარის ხეობებს...ხომ დაგვიბრძნენ არჩევნებზე არ აშენდება ეს საწარმო ოზურგეთში... დაავიწყდათ? ააშენონ სხვა ადგილას, სადაც არაა მოსახლეობა, მდინარის აუზი. ონლაინ რეჟიმში გვემავს სამინისტრო გზმ-ს განხილვას. ან სადაა მოსახლეობაში ამდენი კომპიუტერული ტექნიკა და გამართული ინტერნეტი. უნდა გადადონ და ლოქდაუნის შემდეგ, ჩვენი მონაწილეობით ოზურგეთში უნდა მოხდეს განხილვა...

ირმა ბორღლაძე, გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე: – „საქართველოს მოქალაქეებს კონსტიტუციით და

„ორპუსის კონვეციის“ მიხედვით მინიჭებული აქვთ უფლება– იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში და დაიცვან გარემო. როდესაც მოქალაქეებისთვის, მომავალი თაობების ჯანმრთელობისთვის საშიში პროექტები ხორციელდება კანონდარღვევებით, ძალუღად, იგნორირებულია მოქალაქეთა საჯარო ჩართულობა განხილვებში, მითუმეტეს პანდემიის პირობებში– ეს არის დანაშაული. ყველაფერ ამასზე პასუხისმგებელია გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ყველა კანონდარღვევას გადმოვუვალავთ, დავიცავთ ადამიანის უფლებებს და ოზურგეთში, ექაღიაზე ეს საწარმო არ გაიხსნება. ეს არის დანაშაული და ვერანაირად ვერ დავაყენებთ საფრთხეში ქალაქის აწმყოსა და მომავალს.

ონლაინ გზმ გარემოზე ზემოქმედების განხილვა უნდა გადაიდოს მანამ, სანამ მოქალაქეები საჯარო წესით არ ჩაერთვებიან ამ პროცესში.

ინტერპირიზებული ინცინდენტი სოფელ ბუკნარში



ასხვა ადამიანების მიერ და შემდეგ იყო ინტერპირიზებული. ერთმანეთში გაერკვნენ ეს ადამიანები, შეჯერდნენ და ჩამოყალიბდნენ საერთო აზრზე, რომ ხვალიდან ყველა ერთმანეთის გვერდით დადგება და არანაირ კონფლიქტს ადგილი არ ექნება“ — განაცხადა მედიასთან **ზურაბ ნასარაიამ**.

„ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აჭარადან — ზოტიდან და სხვა სოფლებიდან- 13 ან-

ვარს აპირებდნენ ჩამოსვლას სოფელ ბუკნარში სპეციალურად შემზადებული ადამიანები, ამიტომ პირადად მე მყისიერად მივიღე გადაწყვეტილება, სამღვდლოება გამეშვა სოფელ ბუკნარში ვითარების განსამუხტად. რადგანაც უკვე კომენდატის საათი იყო, ბატონ ზურაბ ნასარაიას, გურიის სახელმწიფო რწმუნებულს, დაუურეკე და ვთხოვე, სასულიერო პირებისთვის გადაადგილების საშუალება მოეცა. თანხმობის მიღების შემდეგ სამღვდლოება ღამის 11 საათზე ჩავიდა ქრისტიანი მოსახლეობის დასამშვიდებლად, რათა მონაწილეობა არ მიეღოთ მოსალოდნელ დაპირისპირებაში. საუბარმა, რა თქმა უნდა, შედეგი გამოიღო: მერე დღეს მოხდა შერიგება გურულებსა და აჭარლებს შორის.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მშვიდობა ძმებს შორის და მივესალმებით იმ შერიგების პროცესს, რაც იქნა მიღწეული ჩვენი თუ სხვა კეთილი ადამიანების რულუნებით“ — წერდა ეპარქიის ფეის-ბუქგვერდზე **მეუფე იოსები**.

„რაც გამაღებელი ანტიქართული ქმედებები დაიწყო, თუმცა არც ვაჩერებულა არასოდეს, მაგრამ ახლა ქრონიკული გამწვავებაა. ჯერ ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს დაარტყეს და ამაში მთავარ ბოროტ-მოქმედად ქართული დედა ეკლესია გამოაცადეს, თუმცა თამამად შემძლია ამას ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედება ვუწოდო. ეს არ განელებულა ჯერ და წმინდა წყლის პროკაცია, ეგრეთწოდებული „ბუკნარის რელიგიური დაპირისპირება“ გამოგვიცხვეს.“ — წერდა ისრაელში მცხოვრები ექიმი **ირინე ბიბილიეშვილი-იოსებაშვილი**.

ვასილ ჩიგოგიძე, ნინო წილოსანი და ადგილობრივი ხელისუფლება სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფტს **ადამ შანთაძეს** შეხვდნენ.

— შეთანხმება შედგა, პრობლემა მოგვარებულია და ხვალ ბუკნარში პარასკევის ტრადიციული ლოცვა ჩატარდება. — განუცხადა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შენობის წინ შეკრებილ აქციის მონაწილეებს **ადამ შანთაძემ**.

მიუხედავად ხელისუფლებისა და ბუკნარის თემის მოსახლეობის მზაობისა, კონფლიქტი დასრულებულიყო, არ ხერხდებოდა. სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული პირები თვით მუფტსაც აყენებდნენ შეურაცხყოფას. განსაკუთრებით აქტიურობდა მუსლიმი თემის წარმომადგენელი **ფირუზ წულუკიძე**.

სოფელ ბუკნარში მობილიზებული იყო პოლიცია..

შემდეგ არენაზე ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სოფელ ნასაკირალის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესო ქათამაძე** გამოჩნდა და იგი პარლამენტარ ვასილ ჩიგოგიძეს დაუპირისპირდა.

საბოლოოდ, შერიგება შედგა. პარლამენტარები ვასილ ჩიგოგიძე, ნინო წილოსანი, გუბერნატორი ზურაბ ნასარაია და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სოფლის ორივე თემის წარმომადგენლებს კვლავ შეხვდნენ.

საბოლოო შეთანხმება შედგა.

„ალიონი“ 90 წლისაა

არქივიდან, 1935

„3-4 წლის წინათ რაიონში არც ერთი ავტომობილი არ იყო, ახლა კი 60 მანქანა მუშაობს. რაიონის მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებამდე გადატარებული, მშვირი და უმიწაწყლო ნოვოროსიისკში, ფოთში, ბათუმსა და ჭალაიდში ეძებდა სამუშაოს. დღეს თავის ეზოში კოლმეურნეობაში არის დატვირთული შრომის — ტევადი უძვირფასესი ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებით, რომლებმაც იგი შეძლებული და კულტურული ცხოვრების გზაზე დააყენეს.

მაღალი კრამიტით დახურული ოდა სახლები, რკინის საწოლები, საოჯახო ნივთები, სიმებიანი საკრავი, პატეფონი, ურნალ-ვაზეთები, ძვირფასი მცენარეებით გაშენებული ეზო, უხვი მოსავალი, შინაური პირუტყვი — ასეთია დღეს დამკვირვებელი კოლმეურნე გლეხის ოჯახი.

რამდენიმე მაგალითი: კოლმეურნე **ელისე ხომერიკი** (ს. შრომა), კოლმეურნეობაში შესვლამდე უკიდურეს ღარიბად ითვლებოდა. გარდა ისლით დახურული ფაცხისა, მას არაფერი გააჩნდა. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მან ოთხთავიანი ოდა სახლი დაიდგა თუნუქით გადახურული; საკარმიდამო ნაკვეთზე დარგო 200 ძირი ლიმონი, მანდარინა და ფორთოხალი, რაც ჯერ-ჯერობით წლიურად იძლევა 4 000 მანეთის შემოსავალს. ხომერიკმა შეიძინა ერთი წყვილი რკინის საწოლი, გაიკეთა სამი მაგიდა, შეიძინა ვერური სკამები, შკაფი და სხვა საოჯახო ნივთები; იყიდა საუკეთესო ჯიშის ორი ძროხა, დარგო დაბალი ჯიშის 400 ძირი დაბალი ჯიშის ვენახი, რომელიც იძლევა წლიურად 60 ფუთ ღვინოს, მან და მისმა ოჯახის წევრებმა 1934 წელს გამოიმუშავეს 412 შრომა დღე და მიიღეს 192 ფუთი ხორბალი და 90 ფ. სიმინდი, მიიღეს აგრეთვე ღომი, ლობიო, სილი და 800 მან. ფულად.

კოლმეურნე **გიორგი გოგოტიშვილმა** (ს. ნატანები) გამოიმუშავა 400 შრომა დღე, მიიღო 213 ფუთი ხორბალი, სიმინდი და 870 მანეთი ფულად. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ მან ავო 3 თვალი კრამიტით დახურული ოდა, შეიძინა მრავალი საოჯახო ნივთი, იყიდა რკინის საწოლი, ძროხა და სხვ.

კოლმეურნე **მელიტო მეხუზლამ** (ს. გურიანთა) 1934 წელს (მთელი ოჯახით) გამოიმუშავა 509 შრომა-დღე, მიიღო 365 ფუთი ხორბალი, სიმინდი და 700 მანეთი ფულად. მეხუზლამ ავო ოთხთავიანი სახლი, იყიდა ორი რკინის საწოლი, ფეხსაცმელები, 100 მეტრი ფართი, ამას გარდა მელიტონმა შეიძინა ძროხა, მრავალი საოჯახო ნივთი და სხვა.

ასეთ ცხოვრებაზე მხოლოდ ოცნებობდა გურული გლეხი.“

მასხარადის რაიონის პირველი მდივნის **მამია კილაძის** სტატიიდან „ვიბრძვით ჩაის

მაღალი მოსავლისათვის“.

გაზეთი „ლენინის დროშა“, №14, 15 მარტი, 1935 წელი. (მამია კილაძე 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა).

სხვადასხვა ბავშვი შენდება ჩაის ფაბრიკა

ბავშვის სას. საბჭოში დაიწყო ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, რომელმაც წლიურად უნდა გადააქმუშაოს 1 500 000 კგ. ჩაის მწვანე ფოთოლი. ფაბრიკა შენდება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ფაბრიკის მშენებლობა დამთავრდება 1936 წელს.

№18, 5 აპრილი, 1935 წ.

„საბავშვო სახლი

ქ. მასხარადის სერის უბანში ამ დღეებში დაიწყება საბავშვო სახლის აგება. პროექტი უკვე შედგენილია და დამტკიცებულია. სახლის მშენებლობა ჯდება 100 000 მანეთამდე, სახლში მოთავსდება 100 ბავშვი.

ლიხაურს ექნება ელსადგური

ლიხაურის სასოფლო საბჭოში დაიწყო მდ. აჭზე ელსადგურის აგება. ელსადგური იქნება 100-მდე ცხენის ძალიანი, რომელიც გაანათებს ლიხაურელ კოლმეურნეთა ოჯახებსა და ქუჩებს.

თევზების თიხა მაკანეთში

მაკანეთის სას. საბჭოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია თევზების თიხა, თიხა შემოწმებულია ტფილისის საგამოკვლეო კომისიის მიერ, რომელიც აღმოჩნდა მაღალ ხარისხიანი.

საკანდიტრო ქარხანა

რაი ალმასკომის ადგილობრივმა მეურნეობამ საკანდიტრო ქარხნის მშენებლობა დაიწყო ა-წ. თებერვლიდან და დამთავრდება 20 აპრილამდე. ქარხნის აგება ჯდება 40 000 მანეთი და ყოველდღიურად გამოუშვებს ნახევარ ტონა სხვა და სხვა ნამცხვარ ნაწარმს.“

№19, 12 აპრილი, 1935 წ.

პავილოს ქარხნის მშენებლობა

რაილმასკომის ადგილობრივმა მეურნეობამ ქ. მასხარაძეში დაიწყო პავილოს ქარხნის მშენებლობა. მშენებლობის 50 პროცენტი უკვე დამთავრებულია. ქარხნის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება მიმდინარე წლის დამლევს.

კვაჭალათის აგურის ქარხანა

ალმასკომის ადგილობრივი მეურნეობა მიმდინარე წელს იწყებს კვაჭალათის აგურის ქარხნის რეკონსტრუქციას. ქარხანა ამჟამად უშვებს ერთ მილიონ ცალ აგურს. რეკონსტრუქციის შემდეგ გამოუშვებს 2 მილიონ ცალს. რეკონსტრუქციის ჩასატარებლად

გადადებულია 40 000 მანეთი. მუშაობა დაიწყება მოკლე ხანში.

№20, 7 აპრილი, 1935 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

მასხარადის რაიონში შენდება ფიზკულტურის სტადიონი. სტადიონზე მოწყობილი იქნება ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი. სტადიონის მშენებლობისათვის გადადებულია 20000 მანეთი. მშენებლობა დამთავრდება 1935 წლის ბოლოს. მუშაობა დაკვრითი წესით მიმდინარეობს, სტადიონი შენდება აბრეშუმის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის გვერდით.

რაიკომის დადგენილებით ფიზკულტურის საბჭოს გადაეცა ლევიონის ყოფილი შენობიდან ფიზკულტურის დარბაზისათვის ერთი ზალა და 4 ოთახი.

ჭადრაკი

შეჯიბრება პირველობისათვის რაი პროფსაბჭოს და ფიზკულტურის რაისაბჭოს ინიციატივით ჩატარდა ტური ჭადრაკში. ტურნირში მონაწილეობას იღებდა 21 მოჭადრაკე.

ჭადრაკის თამაშობაში პირველი ადგილი დაიჭირა: ს. გუგუნავამ, დ. მჟავიამ, ი. სურგულაძემ, თვითუღ მთვანმა შეაგროვა 17-17 ქულა. შემდეგ დაიწყო შეჯიბრება ამ სამ მოჭადრაკეს შორის; თამაშობაში პირველი ადგილი დაიჭირა ს. გუგუნავამ შეაგროვა 3,5 ქულა; მე-2 ადგილი დაიჭირა დ. მჟავიამ მიიღო 2,5 ქულა; მესამე ადგილი დაიჭირა ი. სურგულაძემ. პირველ ადგილს მიეცა ჯილდოდ 300 მანეთი, მეორეს 255 მან. და მე-3 176 მან.

№20, 7 აპრილი, 1935 წ.

კინო

მიღებულია ხმოვანი კინო აპარატი ქ. მასხარადის კინო თეატრის გაშვებამ მიიღო ხმოვანი კინო აპარატი, რომლის დადგმა ამ დღეებში დამთავრდება.

№22, 26 აპრილი, 1935 წ.

ფაბრიკას ახლა აქვს ელსადგური

(საკ. ინფორმაცია) მაღალი ეწერის ჩაის ნფაბრიკა შარშან მუშაობდა ტრაქტორით. ახლა ფაბრიკაში აშენებულია 75 ცხენის ძალიანი ელექტროსადგური, რომლის გამოცდა ჩატარდა ამ დღეებში. გამოირკვა, რომ მისი ელენერგია მთლიანად დააკმაყოფილებს ფაბრიკას.

ორი ფაბრიკა პირველი მაისისათვის უკვე დამთავრდა ნასაკირალის და ლაითურის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა.

ეს ორი ფაბრიკა სრულად დატვირთვისას სეზონზე გადაამუშავებს ორ მილიონ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს.

გაზეთი „ლენინის დროშა“, №23, 1 მაისი, 1935 წ.

ორსართულიანი შენობა მთისპირში

მთისპირის ს.ს.საბჭოს და სხვა ორგანიზაციებს დღემდე არ ჰქონდა ხეივანი ბინა.

ახლა აქ იგება ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება სას. საბჭო, ფოსტის სააგენტო, კოლმეურნეობის გამგეობა, აფთიაქი და პარტკომკავშირის ორგანიზაციები.

161 წლის მოხუცი

გაზ. „ლენინური გზით“ (ყვარლის რაიონული გაზეთი) სწერს:

იორათე ბერიკაშვილი 161 წლის მოხუცია, ის ცხოვრობს ხალსოფელში. მას კარგად ახსოვს შამილის მიერ კახეთის ოთხი აონხე-ბა, აგრეთვე კარგად იცნობდა თავად გარსევან ჭავჭავაძეს (პოეტ ილია ჭავჭავაძის მამას).

მოხუცი კითხვებზე იძლევა გარკვეულ პასუხს, სმენა და მხედველობა კარგი აქვს, სიარული შეუძლია დავენახში მუშაობს უბრალო სამუშაოებზე. მოხუცს პაპიროსი ძალზე ეჯავრება, მას სიცოცხლის მანძილზე პაპიროსი არ მოუწევია.

გაზეთი „ლენინის დროშა“, №24, 5 მაისი, 1935 წ.

სიმებიანი ორკესტრი

ს. ოზურგეთში, აშხ. დ. ვახრამოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სიმებიანი ორკესტრი.

გუნდმა მონაწილეობა მიიღო რაიონის ოლიმპიადაზე, სადაც დაჯილდოვდა გუნდი დასაკრავი ინსტრუმენტებით, ხელმძღვანელი კი მანდალინით.

გუნდი ხშირად აწვობს კოლმეურნეებს შორის კულტურულ გართობებს.

გ. ბურაკოვი

სკოლის გადაკეთება

(საკუთარი ინფორმაცია) სოფ. ძიმითში დაიწყო არა სრული საშუალო სკოლის შენობის გადაკეთება. სკოლს მოემატა ახალი ოთახები. მშენებლობა დამთავრდება 1 აგვისტომდე.

ამხ. კიროვის უკვდავსაყოფად

ქალაქის საბჭოს პლენუმის დადგენილებით ამხ. კიროვის სახლის უკვდავსაყოფად ქალაქის ცენტრალურ ქუჩას ე.ი. ორჯონიკის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩამდე ეწოდა კიროვის ქუჩა.

ქრისტიანული ვასადის ქუჩა

რაილმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ციხის დაღმართს დაერთქვა ქრისტიანული ვასადის ქუჩა.

გაზეთი „ლენინის დროშა“, №25, 12 მაისი, 1935 წ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ნასაკირალის პრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე



... მილიციის უფროსმა საათს დახედა, ცხრას 7 წუთი აკლდა.

– შეკითხვები თუ არ გაქვთ, თათბირი დამთავრებულია. დავალებები მიღებული გაქვთ. იყავით ფეხზე დაეშვიდეთ. დაეშვიდეთ, ფეხზე წამოდგა, ფანჯარა გამოაღო და სუფთა ჰაერი ღრმად შეისუნთქა. თვალთ გააცილა ოთახიდან მიმავალი თანამშრომლები და საგამომიებლო განყოფილების უფროსს უხმო:

– ბიჭო, მდივანს უთხარი, 9-ზე ფლენტი შემოვა და სხვა არავინ შემოუშვას მის გამოსვლამდე...

სამი წუთიც ყვოდა მხნეობის მოსაკრებლად. მთელი დღის დაღლილი სავარძელში ჩაეშვა, მალე ჩათვლიდა... მერე უცებ წამოვარდა ფეხზე, საათს ახედა, ათის ცამეტი წუთი იყო. ეტყობა, ბორიას მოერიდა შემოსვლაო. დილაკს ხელი დააჭირა. იქვე გაჩნდა მორიგე.

– ფლენტი შემოვიდეს.

– ჯერ არ მოსულა, უფროსო.

– ფლენტი მისაღებში არაა? – შეაქვდა მორიგის პასუხმა.

– არა, რაც მოველი, ფლენტი არ მინახავს აქ.

გაუკვირდა თამაზ მგელაძეს რწმუნებულის ეს საქციელი. თათბირებზე არასოდეს ივკიანებს, დავალებებს ოპერატიულად ასრულებს, თან მან მოითხოვა ამ საქმის ოპერატიულ ღონეზე წაყვანა. ალბათ, თოვლის გამო შეუგვიანდა. სულ თხუთმეტი წუთი გადაცდა დათქმულ დროს და ესეც მიუღებელი აღმოჩნდა მილიციის უფროსისთვის... ფანჯრიდან პროკურატურის შენობას გახედა. პროკურატურის ოთახში შუქი ეთო...

– მამია ენვერის, შუქი დავინახე და სამსახურში ხარ?

– კი, სამსახურში ვარ. მშვიდობა ხომაა?

– გადმოვალ, რაღაც საქმე მაქვს. ყურმილი დალო. კარადიდან პალტო გამოიღო, ჩაიცვა.

– პროკურორთან გადავალ, ფლენტი თუ გამოჩნდეს, იმ წუთშივე შემატყობინე. – დაუბარა მორიგეს.

პროკურორი მამუკა გოგუა და მილიციის უფროსი თამაზ მგელაძე, სანამ ამ თანამდებობებზე მოხვდებოდნენ, მანამდეც მეგობრობდნენ და ახლობლობდნენ ოჯახებით. თამაზის უფროსი და ნუნუ, მამუკას მეუღლის მეჯვარე იყო, გათხოვებამდე მგელაძეებთან ცხოვრობდა სახლში.

– რაღაც ანერვიულებული ჩანხარ, თამაზ.

– ფლენტს იცნობ, წესიერი კაცია. სამი დღის წინ ოპერატიული ინფორმაცია მომწოდდა თავისი უბნიდან. საქმე ალკობრივი. დღეს ცხრაზე უნდა მოსულიყო, არ ჩანს. არც დაურეკავს, რომ ვერ მოდიოდა.

– ცოტა ხანი დაველოდოთ. დაჯექი, სული მოითქვი, მომიყვი, რა

მოიღვინოს, – თანამშრომლებით ხომ ვერ მივაღებო? მარტოც ვერ წავალ, უხერხულია, ერთად წავიდეო, მანქანას გამოვიძახებ.

მამუკას უნდოდა ეთქვა, ხვალ დილისთვის გადავლოთ, იქნებ გამოჩნდესო, მაგრამ როცა თამაზის ანერვიულებულ სახეს შეხედა, მიხვდა, რომ ის მინც ოპერატიულად იმოქმედებდა. ადგა, პალტო ჩაიცვა, ქული დაიხურა და მილიციის უფროსთან ერთად დატოვა კაბინეტი. პირველი საათი დაწყებული იყო...

მორიგე „ვილისში“ ჩასხდნენ და რამდენიმე წუთში საცხოვრებელ კორპუსს მიაღდგნენ. რწმუნებული მორიგე სართულზე, ორთახიდან ბინაში ცხოვრობდა. კარზე დააკაკუნეს.

– რომელი ხარ? – ხმაზე ეტყობოდა ქალი ან უძილო იყო, ან ახალგაზრდობის.

– პროკურორი მამუკა გოგუა და მილიციის უფროსი თამაზ მგელაძე.

კარი გაიღო. სტუმრები შევიდნენ და შუა ოთახში დასხდნენ. მცირეხინანი უხერხული სინჯის შემდეგ მილიციის უფროსმა დაიწყო:

– ნანა, დღეს, საღამოს 9 საათზე ჩემთან ბორისს უნდა შეგხვედროდი, მაგრამ არ მოვიდა. ოპერატიული საქმე იყო. ხომ არ იცი, სად არის, ან ხომ არ დაურეკავს?

– ვიცოდი, რომ უნდა შეგხვედროდი, ეშხადებოდა ამ შეხვედრისთვის. ორ საათამდე რომ არ მოვიდა, ვიფიქრე, პირდაპირ თქვენთან წამოვიდა-მეთქი. აქამდე რომ არ გამოჩნდა, შეგონა, თქვენთან გაგრძელდა შეხვედრა. უყურადღებობა არასდროს გამოუჩენია, მაგრამ არ დაურეკავს, რომ ავკიანდებოდა.

ნანას უცებ ტირილი აუვარდა.

– დამშვიდდი, ნანა. ხვალ დილადაც ყველაფერი გაირკვევა. იქნებ ვერ დარეკა ოპერატიული მდგომარეობის გამო. რა იცი, რა ხდება? ხვალ დილით, თამაზი და მე გავარკვევთ ყველაფერს. – უთხრა პროკურორმა.

პროკურორის იმედიაში სიტყვამ თითქოს დაამშვიდა ბორისის მეუღლე.

დაემშვიდობნენ დიასახლისს და გარეთ გამოვიდნენ.

– ფეხით გავიაროთ, თამაზ, სუფთა ჰაერზე, მანქანა ვაუშუ.

ქვეითად დაადგნენ სახლისკენ მიმავალ გზას სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირები.

ალარ თოვლა, არც ყინავდა. ზამთრის წყნარი ამინდი იდგა. მეგობრები ხვალდინდელ გვემას აწყობდნენ გზაში. წინასწარ იცოდნენ, რომ ფლენტის თავს კარგი ამბავი არ იყო, მაგრამ არ უტყვებდნენ სიმართლეს. იქნებ...

დილის ცხრა საათია. მილიციის უფროსმა მდივანი იხმო, ერთ საათში სამძებრო განყოფილების ყველა თანამშრომელი ჩემთან შემოვიდესო. გაკვირვებული გავიდა კაბინეტიდან მდივანი გოგონა, გუშინ 6 საათზე ითათბირეს, როდის იყო თამაზ ვახტანგოვი იმავე თანამშრომლებთან ასეთი ინტერვალით ატარებდა შეხვედრებს?! სამძებრო განყოფილების უფროსს მოახსენა, რაც თამაზ ვახტანგოვიმ დაავალა.

– გემლება, ხათუნა, ალბათ, სხვა სამსახური გითხრა. ჩვენ გუშინ, 6 საათზე ვიყავით თათბირზე და დავალებებიც მივიღეთ. ოპერები გასულელები არიან.

– ზუსტად ასე მითხრა. ძალიან ჩაფიქრებული და გადაღლილი ჩანდა. ვერ ვეტყვი, ხომ არ შეგე-

შალათ-მეთქი. იქნებ თქვენ თვითონ შეხვიდეთ.

– მოახსენე და შევალ.

– თამაზ ვახტანგოვი, სოსო დავილოვიჩი თქვენთან.

– ვინ სოსო დავილოვიჩი?

– სამძებრო განყოფილების უფროსი.

– სოსო? – უცებ გამოერკვა ბურანიდან, – შემოვიდეს.

სოსო შევიდა.

– გისმენ, სოსო, მშვიდობა ხომაა?

– ასეც ვიფიქრე, ხათუნას შეშალა-მეთქი.

– რა შეშალა ხათუნას?

– უფროსთან თათბირია 10 საათზე, მითხრა. ჩვენ ხომ გუშინ 6 საათზე ვითათბირეთ.

– სოსო, სოსო, – თავი ისე გაიქინა, თითქოს მოწოლილი ფიქრები გააგლო გონებიდან, – ხათუნა მართალია. მგონი, ცუდი ამბავია, ფლენტი არ ჩანს. პირადი შეხვედრა მქონდა გუშინ ცხრისთვის დანიშნული, არ მოსულა. შუაღამით მე და პროკურორმა ავკითხეთ სახლში, იქაც არ დაგვხვდა. სასწრაფოდ შეკრიბე ბიჭები, შევიმუშაოთ ოპერატიული გეგმა და საქმეს მივხედოთ. ათზე ჩემთან!

უსიტყვოდ ადგა სამძებრო განყოფილების უფროსი და მორიგეს თხოვა, ყველა ოპერი გამოეძახებინა მასთან...

– ბიჭებო, პირველ რიგში, მივდივართ ოვანეს მარტიკიანის სახლთან სხვადასვა მხრიდან. პისტოლეტები მზადყოფნაში გქონდეთ. მარტიკიანის სახლიდან გამოიყვანს სოფელში მცხოვრები ჩვენიანი. როგორც კი გამოვა, დაიწყებთ აყვანის ოპერაციას. სასურველია, ორმა ჩვენიანი გამოიყვანოს. მოტივი იქნება შუა, ცოტა ფული სესხად. ოპერაცია იწყება ერთ საათში. უფრო კონკრეტულად სოსო გეტყვით, მასთან რომ შეხვალთ. არავისთან არც ერთი სიტყვა! მანქანებზე მე ვიზრუნებ. მივდივართ კერძო „ვილისებში“ და არა მილიციის მანქანებით. თერთმეტის თხუთმეტი წუთია, გადიხართ 11 საათზე. ორ საათზე მარტიკიანი აქ უნდა მყავდეს. ბორია ფლენტის ნახვა ჩვენი ღირსების საქმეა. თავისუფლები ხართ. 3 საათზე აქ ვხვდებით...

45 წუთი საკმარისი იყო გეგმის დეტალურად განხილვისთვის. 11 საათზე ოპერები გამოვიდნენ შენობიდან, სამ მანქანაში გადასაწვილდნენ. ერთი მანქანა უფრო ადრე გავიდა, დანარჩენი ორი კი, ცოტა ხნის შემდეგ ნელი სვლით გაუყვა სოფლისკენ მიმავალ თოვლიან გზას. პირველი მანქანა სოფელში ასვლისთანავე ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა. მასპინძელი ეზოში შემას აპობდა, ოპერმა მოიხმო და რამდენიმე წუთი ესაუბრა, შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და მარტიკიანის სახლის შორიანხლოს ჩამოვიდა თავის ორ ამხანაგთან ერთად. ამასობაში ის ორი მანქანაც გამოჩნდა და იქედან გადოსულელები სხვადასვა მხარეს განლაგდნენ სახლის ირგვლივ ისე, რომ „სერვისის“, გაქცევის შემთხვევაში ყველა გზა მოეჭრათ. მოვიდნენ ჩვენიანებიც – თქვა ერთმა ოპერმა და უფროსს იმ კაცზე მიუთითა, რამდენიმე წუთის წინ რომ ელაპარაკებოდა. ამ უკანასკნელს მეუღლეც წამოყვანა, რომელსაც ოპერი არ იცნობდა.

– ოვანეს, ოვანეს!

გააკვებული ნავაზი მოვარდა ჭიშკართან, მაგრამ მეზობლები შეიცნო

და დაწყნარდა.

საკვამურიდან ბოლი არ ამოდიოდა. დაახლოვებულ არავინ პასუხობდა.

– არავინაა სახლში. რაღაც ცუდი ამბავია. – თქვა უფროსმა და ოპერს უთხრა, ჩვენიანებმა ძალიან დააბნა.

ოპერები წინასწარ შემუშავებული გეგმის ამოქმედებას შეუდგნენ, ოთხივე მხრიდან დაიწყეს მოძრაობა სახლისკენ. სოსო დავილოვიჩი პირველი შევიდა ეზოში სამ ოპერთან ერთად, სამი უკანა კარს მიადგა, ორი – გვერდითა მხარეებს.

ძალიან აწყვეტას ლამობდა, უთავბოლოდ ყველა, თითქოს ამცნობდა მოსულელებს, თუ ავიშვი, ვერ გადაამირჩებითო, მაგრამ მსხვილი ჯაჭვით დაბმული რას განხედობდა. ქოფის ყველასა და ეზოში ხალხის მრავლად დანახვაზე მეზობლები გამოჩნდნენ. ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, ვერც ვერავის ეკითხებოდნენ. დავილოვიჩმა პისტოლეტის ტარით დააბრუნა კარზე და ოვანესს კარის გაღება მოსთხოვა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

– ვამტვრევთ კარს, ყველანი მზადყოფნაში! – იყვირა უფროსმა და რამდენიმე გასროლით კარის საკეტი გააღო. შეცვივდნენ ოპერები. დიდ ოთახში, მაგიდასა და იატაკზე არყის ცარიელი ბოთლები, შამპანურები, ძეხვი, პური და შოკოლადის ასორტი ეყარა. დავილოვიჩი ღუმელთან მივიდა, ხელი დაადო, ცივი იყო. არ ესამოვნა, გამოდის ერთი დღე მაინც არ დაუნთხათ ცეცხლი. ოპერებს უბრძანა ხელი არაფერზე ეხლოთ, გარეთ გამოვიდა, ჯვგუფი ავტოლზე დატოვა და კანტორისკენ წავიდა...

– თამაზ ვახტანგოვი, მარტიკიანი სახლში არაა. კარი შევამტვრიეთ, მხოლოდ პროლეტების ნარჩენები და ცარიელი ბოთლებია. ფლენტის ოთახი დაკეტილი იყო, ისიც შევამტვრიეთ, არც იქ იყო არავინ. შემის ღუმელი ოღნავ თბილია. თვითონ არ ჩანს.

– არ წახვიდე, სოსო, რაც შეიძლება, მალე მოვალთ მე და პროკურორი, – ტელეფონი გაუთიშა თამაზმა.

სანამ პირველი პირები ავიდოდნენ, ოპერებმა დაიწყეს ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა პირებიდან. ინფორმაცია მეტად მწირი იყო. ბიძაშვილ-მამიდაშვილი მეზობლებთან არ კონტაქტობდნენ და არც ისინი ინტერესდებოდნენ დიდად ბიძაშვილ-მამიდაშვილით. ამიტომაც იყო, რომ ვერავინ შეამჩნია მათი სოფლიდან გაუჩინარება. ფლენტზე აუცილ მთქმელი ვერ ნახეს. ის კი თქვეს, რომ ბორისი მუშაობის დაწყებას მოითხოვდა ოვანესისგან, სულ ეუბნებოდა, რითი ცხოვრობ, როცა არ მუშაობ. სოფელში პროკურორისა და მილიციის უფროსის ასვლამდე, სულ ეს ინფორმაცია მოიპოვეს, რაც ისედაც იცოდნენ.


– მამუკა, ცუდადაა საქმე. სოსომ დამირეკა, რომ ეს წუთია, მარტიკიანის სახლი შეამტვრიეს და იქ არავინაა. კანტორის შენობაში ფლენტის ოთახიც შეუმტვრევიათ და არც იქ აღმოჩენილა არავინ. სასწრაფოდ უნდა წავიდეო, მანქანა მზადაა.

ეს ბოლო და არასასამოვნო ინფორმაცია მიაწოდა მილიციის უფროსმა პროკურორს, რომელსაც 15-20 წუთში სამუშაო თათბირი ჰქონდა ჩანიშნული.

(გაგრძელება იქნება)

გურიის რესპუბლიკა

იმაჟმეფა მსკლუზიური უფლებით



რევოლუციური მოძრაობა გურიაში (ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში), რომელიც უწყვეტად მიმდინარეობდა 1905 წელს, არ შეიძლება გლეხთა მოძრაობასთან, აგრარულ მოძრაობასთან გაავივიოთ. აგრარულ მოძრაობას თავისი პროგრამა აქვს და იგი ძირითადად სოციალური და ეკონომიკური ხასიათის საკითხებით შემოიფარგლება. რევოლუციური მოძრაობა გურიაში, რომლის წამყვან ძალას გლეხობა წარმოადგენდა, იმით იყო განსაკუთრებული, რომ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან ერთად გლეხობამ ისეთი პოლიტიკური საკითხების გადაჭრა მოითხოვა, რომლებიც ძალზე პოპულარული იყო რუსეთის იმპერიაში. გურია იმ მხრივაც იყო გამორჩეული, რომ სახელმწიფო დაწესებულებებისა და ხელისუფლების ორგანოების მიმართ ბოიკოტთან ერთად შეიქმნა ხელისუფლების რევოლუციური ორგანოები, რომლებიც ხალხის ნებას გამოხატავდა და ხალხის სახელით იღებდა ყველა გადაწყვეტილებას. იგივე ითქმის სასამართლოზეც. ხელისუფლების ორგანოები როგორც სოფლებში, ისე მთელი ოზურგეთის მაზრის მასშტაბით, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ფუნქციონირებული და მის დანიშნულებას სახალხო ხელისუფლება ასრულებდა. მთელ საქართველოში გურია იქცა განსაკუთრებულ რეგიონად, რომელსაც თანამედროვენი სამართლიანად უწოდებდნენ გურიის რესპუბლიკას.

რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი გურიაში

პირველი საგანგაშო სიგნალი ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს გურიაში დაწვებული რევოლუციური მოძრაობის შესახებ 1905 წლის 20 იანვარს მაიწოდა. ორი კვირის შემდეგ ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი იმავე ადრესატს კიდევ უფრო საგანგაშო ცნობებს აწვდიდა:

1. 1905 წლის 20 იანვრის შემდეგ ვითარება ოზურგეთის მაზრაში სულ უფრო უარესდებოდა და ამჟამად იქ სრული ანარქია სუფევს; მაზრაში მთელ ძალაუფლებას „კომიტეტები“ (იგულისხმება რევოლუციური ხელისუფლების ორგანო – გლეხობის მიერ არჩეული კომიტეტები-გ.გ.) და მათი წარმომადგენლები ფლობენ;

2. ოზურგეთის მაზრაში ხელისუფლების ორგანოების აღდგენა მხოლოდ იმ ადგილებში ხდებოდა შესაძლებელი, სადაც ჯარი(კაზაკები) და პოლიცია(პოლიციის სტრაჟნიკები) შეჰყავდათ;

3. სოფლის მამასახლისებმა და სასოფლო მმართველობის მწერლებმა ოზურგეთის მაზრის უფროსს განუცხადეს, რომ მათ მოვალეობის შესრულება აღარ შეუძლიათ და უფლებამოსილებას იხსნიან, რადგან ყოველდღიურად განიცდიდნენ მოსა-

ხლეობის მხრიდან უკანონო ძალმომრობას, რის შედეგადაც ბევრი მამასახლისი და მწერალი საერთოდ გააძევეს სოფლებიდან;

4. ოზურგეთის მაზრაში მივლინებული პოლიციის 8 პრისტივიდან ერთი, **კოსტავა**, მოკლეს, მეორე, **კვამალი**, დაჭრეს, ორმა მათგანმა, **ქეთარაძემ** და **ნაკაშიძემ**, გადაფრთხილეს ითხოვეს. კიდევ ორმა, **არსენიშვილმა** და **ყოფანამ**, პროკურორის ამხანაგს(მოადგილეს) განუცხადეს, რომ ისინიც გადაფრთხილეს აპირებდნენ. გურიანთის უბნის პრისტივი სალაყაია ოზურგეთში ჩავიდა, მაგრამ სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდა.

5. პოლიცია რევოლუციონერების შესახებ ცნობების შეგროვებას და მოწვეების გამოძახებასაც კი ვერ ბედავს. დამნაშავენი აშკარად დასცილდნენ და არ ეძიებოდნენ პოლიციელებსა და მოსამართლეებს, 1905 წლის დამდეგიდან დღემდე ოზურგეთის მომიჯნაველმა მოსამართლემ სულ 3 საქმე აღძრა, რომლებიც მემატიანეებს შორის დავას ეხებოდა. გლეხების შესახებ საქმეები სასამართლოში არ აღძრულა, გლეხობა სასამართლოს არად ავდებს, სასამართლოში დაბარებული მოსამართლესთან არ ცხადდებიან;

6. ოზურგეთში თანამდებობის პირთა მდგომარეობას კარგად ახასიათებს ერთი ფაქტი: არც ერთმა მეკუთვემ მოკლული მომიჯნაველი შუამავლის, თავად **ნაკაშიძისათვის**, კუბოს დამზადებაზე შეკვეთა არ მიიღო. მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ კომიტეტმა ნაკაშიძისათვის კუბოს დამზადება აკრძალა. ოზურგეთელმა მეეტლეებმა დაკრძალვის დღეს ნაკაშიძის ნათესავების გადაყვანაზე უარს თქვეს, ხოლო მიცვალებულისათვის პანაშვილის გადასახდელად მიწვეული სამი მღვდლიდან მხოლოდ ერთმა გაბედა მისვლა და მანაც პროკურორის ამხანაგ **ნაზაროვს** განუცხადა, რომ პანაშვილზე მომავალმა, სანამ ნაკაშიძის სახლამდე მოვიდოდა, მუქარის სამი წერილი მიიღო. ბოლოს, როგორც იქნა, კუბო ნაკაშიძისათვის ქუთაისიდან ჩაიტანეს, თუმცა პანაშვილზე დასწრება კომიტეტის შიშით ვერავინ გაბედა. პირველი პანაშვილი ოზურგეთში ნაზაროვის ყოფნისას ჩატარდა, და მას, ნაზაროვის გარდა, კიდევ ორი მოხუცი ქალი დაესწრა;

7. ოზურგეთის მაზრის ორივე უბნის გამოძიებებმა, **ხარაზოვმა** და **კრასნოვმა**, ოზურგეთის მაზრის სასამართლოს მიმართეს და „ავადმყოფობის“ გამო შევბუღება ითხოვეს. პროკურორის ამხანაგმა ნაზაროვმა სცადა გამოძიებელი ხარაზოვი თანამდებობაზე დარჩენაზე დაეთანხმებინა, რაზეც გამოძიებელმა ასეთი პასუხი გასცა: თუ შევბუღებას არ მომცემენ, დაუყოვნებლივ გადავდგები თანამდებობიდან და ოზურგეთიდან წავალ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი შემფოთებული იყო, რადგან ხარაზოვისა და კრასნოვის

შემცველი გამოძიებები არ ჰყავდა. კიდევ უფრო აშფოთებდა პროკურორს ის, რომ ნაკაშიძის, ხარაზოვისა და კრასნოვის შემცველები კიდევ რომ ებოვა, ისინი ოზურგეთში წასვლაზე უარს იტყობდნენ;

8. 1 თებერვალს, საღამოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე **ბოგოროდსკი** ორი ანონიმური წერილი მიიღო. მოსამართლეს მოკვლით ემუქრებოდნენ, თუ სასამართლო სხდომებს არ შეწყვეტდა და საოლქო სასამართლოს კანცელარიას არ დახურავდა. ბოგოროდსკი ისე შეშინდა, რომ ქუთაისის გუბერნატორს, გენერალ-მაიორ **ალექსეი სმაგინს** სასამართლოს ეზოში კახაკთა პოსტის, ხოლო მის საცხოვრებელ სახლთან სტრაჟნიკების დაყენება სთხოვა;

9. შექმნილი ვითარებაში ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამსვლელი სხდომის ოზურგეთში ჩატარება, რომელიც 8 თებერვალს იგეგმებოდა, არასასურველი იყო. სასამართლოს უნდა განეხილა პოლიტიკური მკვლელობების საქმე. და ეს მაშინ, როდესაც ოზურგეთის პოლიციას მოსახლეობის მხრიდან სასამართლოზე ძალმომრეობის აღკვეთის შესაძლებლობა არ ჰქონდა;

10. 2 თებერვალს უშუალოდ თბილისში გასაგზავნი მოხსენების შედგენისას ქუთაისის საოლქო პროკურორისათვის ოზურგეთიდან დეპუტით უცნობებიათ: ორ სხვადასხვა ადგილას თავს დაესხნენ სტრაჟნიკების რაზმს, რამდენიმე სტრაჟნიკი დაჭრეს, და იარაღი წაართვეს; მოკვლის მიზნით თავს დაესხნენ ორ მამასახლისს და დაარბიეს ორივე სოფლის კანცელარია; მოკლეს მემატიანე **ურუშაძე**;

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს მოახსენებდა, რომ გამოსავალს იგი იმაში ხედავდა, რომ ოზურგეთის მაზრაში ჯარის დიდი კონტინგენტი შეეყვანათ და მაზრაში 3-4 თვით სამხედრო მდგომარეობა გამოეცხადებინათ. პროკურორი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა დამსჯელი ექსპედიციებისა და სამხედრო-საველე სასამართლოების ამოქმედებას. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი მთელი კატეგორიულობით აცხადებდა: მის მიერ ჩამოთვლილი ღონისძიებების გადადება არ შეიძლებოდა, რადგან ამ ღონისძიებების გატარება ბოლოს მაინც აუცილებელი გახდებოდა, ხოლო დაგვიანება კიდევ უფრო დასცემდა ხელისუფლების პრესტიჟს და ხელისუფლების ერთგული ადამიანების სიცოცხლესაც შეიწირავდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის შიში საფუძვლიანი აღმოჩნდა: 1905 წლის 6 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ყანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი **ვლასოვი** რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა:

1. 4 თებერვალს ოზურგეთში შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი თავს დაესხა ოზურგეთის მაზრის პრისტივის სახლს. სროლის შედეგად არავინ დაღუპულა;

2. მდგომარეობა ოზურგეთის მაზრაში უკიდურესად საშიშია. მუდმივმა მკვლელობებისა და მკვლელობის მუქარის გამო მაზრის ხელისუფლება უძღვური შეიქნა. სოფლის მამასახლისები მხოლოდ ნომინალურ ძალაუფლებას ფლობენ;

3. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამსვლელი სხდომა, რომელიც ოზურგეთში უნდა გამართულიყო, გადაიდო, რადგან არ არსებობდა უსაფრთხოების გარანტია;

4. სასამართლოს გამოძიებები შეშინებულნი არიან და უარს ამბობენ ქალაქ ოზურგეთსა და მაზრაში დარჩენაზე;

5. აუცილებელია სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რაზეც თანახმაა ქუთაისის გუბერნატორი.

1905 წლის 7 თებერვალს კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელმა, გენერალ-ლეიტენანტმა **იაკოვ მალამამ** დეპუტა გუგუზაენა რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრ **ალექსანდრ ბულიგინს**, რომელშიც ოზურგეთის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ჩახშობის მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარების ნებართვას ითხოვდა. დეპუტატი აღნიშნულა:

1. გურიაში ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა ჯერ კიდევ 1902 წელს დაიწყო, ამჟამად კი ოზურგეთის მაზრაში და მის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე დაწყებულმა მოძრაობამ შეიარაღებული აჯანყების ხასიათი შეიძინა, რაც ხელისუფლებისადმი აშკარა დაუპირისპირების სახელობაში, სახელმწიფო მოხელეების, მემატიანეებისა და სამღვდლოების წარმომადგენელთა მკვლელობაში გამოიხატა;

2. რევოლუციონერებმა მოსახლეობა გაათავისუფლეს იმპერატორისადმი მიცემული ფიცისაგან და რევოლუციური კომიტეტის ერთგულებაზე აფიცებენ;

3. ოზურგეთის მაზრიდან სახელმწიფო მოხელეები გარბიან;

4. დღემდე გატარებულმა ღონისძი-

ებებმა, მათ შორის, ჯარის გამოყენებამ, შედეგი არ გამოიღო;

5. აუცილებლად და გადაუდებლად მიმართა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრასა და მის მოსაზღვრე სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიმის უბანში საგანგებო ღონისძიებების გატარება, კერძოდ: ხსენებული მაზრები უნდა გამოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორისა და ყარსის ოლქის უფროსის დაქვემდებარებიდან, რათა დაექვემდებარონ იქ მივლინებული ჯარის მეთაურ გენერალს, რომელსაც ჯარის მეთაურობის გარდა, სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობაც დაეკისრება;

6. შექმნილი ვითარებიდან სასურველია ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიმის უბანში გამოცხადდეს სამხედრო მდგომარეობა.

1905 წლის 12 თებერვალს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრ ბულიგინი დაეთანხმა გენერალ-ლეიტენანტ იაკოვ მალამას 1906 წლის 7 თებერვლის დეპუტატი გამოთქმულ მოსაზრებებს ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, სენაკისა და ქუთაისის მაზრებში, ასევე ბათუმის ოლქის კინტრიმის უბანში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და თავისი გადაწყვეტილება აცნობა კიდევ იაკოვ მალამას.

(გაგრძელება იქნება)
მასტანბ გურული

სსრკ

სოსო ჯიჯიეშვილი

სოსო ჯიჯიეშვილი დაიბადა 1931 წლის 15 თებერვალს, ლაჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. 1955 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი



1959 წელის ნოემბრიდან 2003 წლის ნოემბრამდე მუშაობდა ბოხვაურის საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილედ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

სოსო ჯიჯიეშვილი გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით.

მისი ხელმძღვანელობით, სასწავლო პროცესი ყოველთვის მობილიზებული და გამართული იყო. სკოლის წარმატებები მის პირად ღვაწლთან ბევრად იყო დაკავშირებული. დამსახურებული მოღვაწეობისთვის, არაერთხელ დააჯილდოვეს მადლობის სიგელებით. ახალგაზრდა პედაგოგებს მუდამ ურჩევდა სიყვარულით ესწავლებინათ, რათა სიყვარული მოემკოთ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია, ნაკომრის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი **ბუბული ალექსანდრე ასული სინარულიძე** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ იუწყება ანსამბლ „ადონის! უხუცესი წვერის **ბურამ ლლონტის** გარდაცვალებას და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მრავალ შობა-ნათლისღებას!

გვილოცავენ ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები, მერიის წარმომადგენელი



დავით მელიქიშვილი,
მემბრ-პრეზიდენტი, ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (მ. ოჯახები)

დ



ლევან კილაშვილი,
მემბრ, ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (სოფ. მელქიშვილები)

დ



აბატა კილაშვილი,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (სოფ. ბაილეთი)

დ



გია ჩაბანავა,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

დ



გია მაგაკიშვილი,
ოჯახების მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დ



გიორგი თორიძე,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (სოფ. ლიხაური)

დ



გენო ჩაველიშვილი,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მთაწმინდა“ თავმჯდომარე

დ



ვალოდია ბერიძე,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (დაბა ნარუჯა)

დ



დავით ჭიკანელიძე,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-პრინციპალიტეტის“ თავმჯდომარე

დ



თამაზ ბურჭულაძე,
ოჯახების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი (სოფ. შამოქველი)

დ

ოჯახების მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაჟორიტართა თეატრი გვილოცავს კალანდასა და ნათლისღებას!



„ნიუჯენი“ გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის TVS-ს ბრენდის შიგაწვის და ელექტროსკუტერებს, ასევე ჩაფხუტებს და სხვა მოტო აქსესუარებს. გადმოიხილეთ სკუტერზე, იმეზავრე ეკონომიურად და გაუფრთხილდი გარემოს. ტელ: 593 91 91 99 მის: ოზურგეთი, სოფ. ლიხაური

რ

სამშენებლო კომპანია „კაიზენი“ გილოცავთ კალანდასა და ნათლისღებას. გეწვევით მის: გუჩიის ქუჩა №5.

კაიზენი
სამშენებლო კომპანია

რ

7 დღის ამინდის პროგნოზი

<p>თოვლი -2 0</p> <p>21 იანვარი ხუთშაბათი</p>	<p>მზა +1+4</p> <p>22 იანვარი პარასკევი</p>	<p>მზა, ღრუბელი +2+7</p> <p>23 იანვარი შაბათი</p>	<p>მზა, ღრუბელი +4+11</p> <p>24 იანვარი კვირა</p>	<p>მზა, ღრუბელი +2+14</p> <p>25 იანვარი ორშაბათი</p>	<p>მზა, ღრუბელი +5+13</p> <p>26 იანვარი სამშაბათი</p>	<p>წვიმა +6+13</p> <p>27 იანვარი ოთხშაბათი</p>
---	---	---	---	--	---	--